ლეიპციგში რამდენიმე ასეული მსხვერპლია. გამბურგში, სადაც სახალხო გვარდიამ ბალტიის ჯარები გააქცია, მოკლულია 60, იენშიც ამდენივე მოკლული. კილში, გაგენში და ვესტფალში ნამდვილი ბრძოლა იყო არტილერიისა და ტყვიის მფრქვევლების საშუალებით. დეპეშების ცნობით მუშებს ჯარებისათვის ორი ზარბაზანი წაურთმევიათ. სილეზიის მეშახტეებში გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გრძელდება ქალაქების უმეტესობაში. სხვათა შორის, შტუტგარდშიც, სადაც ებერტის მთავრობა იმყოფება. რაინზე დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა, ყველგან მუშაობენ და საერთო ხასიათის ინციდენტი არ მომხდარა. ფრანკფურტისა და კელნის დიდი გაზეთები ბერლინის სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ მკაცრ წერილებს ათავსებენ.

პარიზი. 17 მარ. მილიტარისტებისა და კომუნისტების ცდით გერმანია ანარქიამ მოიცვა. სამხედრო რეაქციას თავის განკარგულებაში ჰყავს 150 000 აფიცერი და ამდენივე გაწვრთნილი ჯარისკაცი, მაგრამ სინდიკალისტების ოპოზიცია მეტად ძლიერდება. არეულობა მოხდა გამბურგში, დრეზდენში მოკლეს 10, ბერლინში მოკლეს 50 და დაიჭირეს 200 კაცი, ლაიპციგში ხშირი სროლაა. ბერლინსა და მის მიდამოებში მოკლულია რამდენიმე ათეული კაცი. ჰალდენბურგში კაპს დეპეშა გაუგზავნეს, რომ მან ბერლინიდან ჯარები გაიყვანოს. ხმა დადის—კაპი და ფონ ლიუტვიცი ჯერაც არ გადამდგარან. ეროვნული კრება შტუტგარტში შეიკრიბება ხუთშაბათს, რადგანაც წევრებმა რკინის გზების გაფიცვის გამო დროზე მისვლა ვერ შეძლეს. საგარეო საქმეთა კომისია ოთხშაბათს შეიკრიბება. ებერტი, რომელიც შტუტგარტში მივიდა, ძველი მთავრობის მდგომარეობას მტკიცედ სთვლის. ის ირწმუნება, რომ დემოკრატიული უმეტესობა გაიმარჯვებს. მართალია, ბაუერის კაბინეტის მდგომარეობა თანდათან უფრო მტკიცე ხდება.
(ბალ შვეიცერის ცნობებიდან)

ლიონი. ძველსა და ახალ მთავრობას შორის შეთანხმება არ მომხდარა. ბერლინში შეტაკებას დიდი სისხლის ღვრა მოყვა. მრავალ ადგილს მოხდა ჯარსა და ხალხს შორის შეტაკება, დრეზდენში 40 მკვდარი და რამდენიმე ასეული დაჭრილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

გერმანიის ამბები და ლონდონის კონფერენცია.

ლონდონის კონფერენციის შესახებ გაზეთი „პტი პარიზიენი" შემდეგს გვაცნობს: ლორდ კერზონმა, რომელიც კვირას დილით ტულონიდან დაბრუნდა, საგარეო საქმეთა სამინისტროში მოიწვია არა მარტო უმაღლეს საბჭოს წევრები (2—3 სიტყვა გამოტოვებულია). არამედ—ზოგი თავისი კოლეგაც სამხედრო, ლორდ კერზონი, უინსტონ ჩერჩილი, სამხედრო და საზღვაო მინისტრი და რამდენიმე პირი სამხედრო და საზღვაო უწყებათა: ამირალი ბიტი და გენერალი ბრაკლეი, რათა მათთან ერთად განეხილა გერმანიაში მომხდარი მოვლენები. კონფერენციამ, რომელიც დაიწყო შუადღეზე, ორ საათამდის გასტანა. დაესწრო ვენიზელოსიც. საერთო მსჯელობამ გამოარკვია შეხედულებებში არა მარტო სრული თანხმობა, არამედ მოკავშირეთა მტკიცე სურვილი, რომ გერმანიის კრიზისს მშვიდობიანათ შეხვდნენ, ჯერ-ჯერობით საერთო აზრი ასეთია, რომ უცადონ, თუ რა მოხდება, მაგრამ თვალი კი აქტიურად ადევნონ. რაც შეეხება ზომებს სიფრთხილის შესახებ, ის ერთიანად მიანდეს მარშალ ფოშს, მარშალ ვილსონს და მოკავშირეთა უმაღლეს აფიცრებს, რომელნიც ეხლა მაინცში იმყოფებიან. ეს ხელს არ უშლის ამირალ ბიტის და ბრიტანეთის ფლოტის სამინისტროს მოემზადონ იმ შემთხვევისათვის, თუ მდგომარეობა მათ ჩარევას მოითხოვს.

ელჩთა კონფერენცია

ელჩთა კონფერენცია შეიკრიბება ოთხშაბათს მილერანის თავმჯდომარეობით. ის განიხილავს იმ პასუხებს, რომელშიც მოკავშირეთა მთავრობანი გამოსთქვამენ თავის აზრს იმ ნოტის შესახებ, რომლის გაგზავნასაც გერმანიის მთავრობისადმი ფოშის მოხსენების გამო მილერანი აპირებდა. ამ ნოტაში მოთხოვნილი იქნება, რომ გერმანელებმა დაასტურონ ის მტრული მოქმედებანი, რომელიც მათ ჩაიდინეს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიების წინააღმდეგ.

მარშალი ფოში.

ორშაბათს დილით მარშალი ფოში მაინცში დაბრუნდა. მატარებლიდან გამოსვლის დროს მას შეხვდა გენერალი დე გუტი. მას სამხედრო თათბირი ქონდა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლებთან. მარშალი უნდა დაბრუნდეს სამშაბათს საღამოს.

შლეზვიგის პლებისციტი.

იტყობინებიან, შლეზვიგის მეორე ზონაში მომხდარ პლებისციტის შესახებ. ხმის უმეტესობა გერმანელებს მიუღიათ.

გენ. ავერესკოს კაბინეტი.

ბუქარესტი. (დასაწყისი გამოტოვებულია). მეფემ გენერალ ავერესკოს მიანდო კაბინეტის შედგენა. პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენა გენერალ ავერესკოსი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინეთ პარლამენტში აირჩიეს, ამტკიცებს იმას, რომ რუმინეთის პოლიტიკა მოკავშირეთა პოლიტიკასთან მჭიდროთ შეკავშირებული რჩება.

იაპონიის კრეისერთა დივიზია

იაპონიის კრეისერთა დივიზია კვირას ბაზერტიდან მალტასკენ გაემგზავრა.

ლიონის რადიო სადგურის ცნობები.

პალესტინის და სმირნის საკითხები.

„ეხო დე პარი" იუწყება: ლონდონში შეყრილ უმაღლესი საბჭო თავის ერთერთ უკანასკნელ სხდომაზე პალესტინის საზღვრებს არკვევდა. ხელახლა განიხილეს სმირნის საკითხი.

რუსეთის შესახებ.

მოკავშირენი ითვალისწინებენ პასუხს რუსეთის საქმეების შესახებ ამერიკის მთავრობის მიერ ახლად გამოგზავნილ ნოტაზე. ეხლა ცხადია, რომ კონფერენცია დანიშნულ დროს ე. ი. 20 მარტს არ შესდგება. მაგრამ მოკავშირენი სიამოვნებით იღებენ პრინციპს დღეიდან სრულ გამორკვევას მოლაპარაკებისას, რომელსაც ადგილი აქვს კოპენჰაგენში მათ წარმომადგენლისა და რუსს კოოპერატივთა წარმომადგენლებს შორის. უკანასკნელი ცნობებით საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ ლიტვინოვი ლონდონში დაშვებული იქნება საბჭოთა მისიასთან ერთად, რომელიც იქ უნდა მივიდეს, მაგრამ აქამდის ეს წინადადება მიღებული არ არის.

გერმანიაში მომხდარ ამბების გამო.

კონფერენციის სხდომა შესდგა სამშაბათს მილერანის თავმჯდომარეობით ის გერმანიის ამბებზე თათბირობდა მაგრამ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

საფრანგეთის რწმუნებული შტუტგარტში.

საფრანგეთის საქმეების რწმუნებული ლეონ ბრაჟერი შტუტგარტში მივიდა. მან საჩქაროდ ინახულა მინისტრი მიულერი, რომელმაც მას დაახლოვებით მდგომარეობა გააცნო და განუცხადა, რომ საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს მასთან მჭიდრო დამოკიდებულება აქვს და რომ ის მიმდინარე საკითხებს აწარმოებს კონსტიტუციონური მთავრობის სახელით.

ჰოლანდიაში.

ჰოლანდიის მთავრობამ მიიღო განსაკუთრებული ზომები, კრონპრინცის და ექსკაიზერზე თვალ ყურის დევნების გაძლიერების შესახებ. ყარაულები მომატეს. ყარაულები დგანან აგრეთვე გერმანიის საზღვრების სხვადასხვა ადგილებში.

სტამბოლის დაჭერა.

კონსტანტინოპოლი უინციდენტოთ დაიჭირეს მოკავშირეთა ჯარებმა. ქალაქში მშვიდობიანობა და წესრიგი სუფევს.

ბოლშევიკების ცნობები.

შრომის ფრონტი.

მოსკოვი 17 მარტ. შრომის სათადარიგო არმიის ცნობა. შეაკეთეს 40 ორთქლმავალი და 91 ვაგონი. შეკეთებაში მონაწილეობა მიიღო 623 არმიელმა, 808 სამოქალაქო მუშამ. კამის ხიდზე რკინის გზის ლიანდაგი დადეს 18 საჟ. გზის გასაწმენდათ მუშაობდა 1184 არმიელი, 2261 მუშა, სულ ერთ დღეში გაასწორეს 5 ვერსი გზა. 1 დღის განმავლობაში დაამზადეს 99 კუბ. საჟენი შეშა. გამოიტანეს 83 კუბ. საჟენი შეშა. მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 396 არმიელი და 698 სხ. ტამბოვის გუბ. შრომის ცნობა. ამ თებერვალში შრომის არმიამ 1 მარტ.—14-მდე დაამზადა 78,670 კ. საჟ. შეშა. შეკრეს 6900 ფუთი თივა, გაზიდეს 4,900 ვაგონი სპირტი, შეაკეთეს 300 სახლი, დაამზადეს 113,000 წყვილი ქალამანი, გაწმინდეს რკ. გზა 23 ვერსის მანძილზე და რკინის გზასთან მოზიდეს 1680 კუბ. საჟენი შეშა.

სარძეო ფერმა.

ტამბოვი. 16 მარტი. დაიწყეს სახლების მოწყობა ბავშვებისათვის 3 წლამდის. ქალაქს გარეთ ტყეებში აგებს აგარაკს. აკეთებენ სარძეო ფერმას.

ინვენტარის შეკეთება.

პეტროგრადი. 6 მარ. სხვ. ერთობის განყოფილებამ აწყობს სასოფლო სამეურნეო კვირას. ერთი კვირის განმავლობაში მოხდება სასოფლო სამეურნეო ინვენტარის შეკეთება. საზოგადოების მონაწილეობის მისაღებათ მოხდება ტექნიკური ძალების მობილიზაცია. ფიქრობენ აგრეთვე ქარხნების ხელოსნებ მუშების მოწვევას.

ოდესაში.

კიევი, 18 მარ. 13 თებერვალს ოდესას თეთრ-გვარდიელთა 5 ლეგიონმა დაუშინა, რომელიც ლენინის იმ ჯინის სამტვრებს ფარავდა, რომელსაც ნავთსადგურიდან ფქვილიანი ბარჟის გაყვანა სურდა. ისროლეს 17 ყუმბარა. მეორე დღეს ნაღმოსანი კიდევ შეეცადა ტყვიის თეთრ-გვარდიელებით სავსე ტრანსპორტის გატაცებას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ უკუ აგდო.

კიევ-ოდესა:

კიევი, 18 მარ., კიევ-ოდესის რკ. გზის ტელეგრაფით დამოკიდებულება განახლდა.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 17 მარტიდან ზლობინ-მოზირის მიმართულებით ჩვენი ნაწილები გადავიდა მდინარე ბერეზინაზე და მტერი გამოდევნა სოფელ ზატონიდან. რეჩიცის რაიონში ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას. მოგილიოვ პოდოლსკის რაიონში ქალაქ ჟმერინკის ახლომახლოდ მკაცრი ბრძოლაა. ყუბანზე ჩვენი შეტევითი ჯარი მტერს აგრძნობს და ეკატერინოდარის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 55 ვერსზე იმყოფება. ჩვენმა ჯარმა სადგური არმავირი აიღო. სტავროპოლის რაიონში ჩვენი ჯარი სტავროპოლიდან განდევნილ მტერს მისდევს. ჩვენმა ჯარმა ამ ქალაქის დასავლეთით და სამხრეთით 40 ვერსზე მდებარე სოფლები დაიჭირა. სტავროპოლის ჩრდილოეთ დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ 300 ტყვე წამოვიყვანეთ. ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი. წითელმა ჯარმა პიატიგორსკის რაიონში „მინერალნიე ვოდის" მუშების დასახლებამდე სად. „მინერალნიე ვოდი" და ქალ. პიატიგორსკი აიღო. წამოიყვანეს 300 ტყვე, ხელთ იგდეს 15 ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. აღმოსავლეთით ქალაქ გეორგიევსკი ავიღეთ.

ტფილისის მცხოვრებთ

დღეს საქართველოს დედა ქალაქის პროლეტარიატი ქუჩაში გამოდის. დღეს იგი „ქუჩიდან შეკითხვას მისცემს" მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

როგორც საფრანგეთის დიდ რევოლუციის დღეებში პარიზის გარეუბნების პროლეტარიატი აყენებდა კითხვებს კონვენტის მიაჯირიდან, ისე დღეს ჩვენი პროლეტარიატი აყენებს კითხვას დამფუძნებელ კრების კედლებთან.

მაგრამ ამ „კითხვაში" უკმაყოფილება კი არაა ტფილისის პროლეტარიატის მასსებისა თავისი მთავრობის პოლიტიკით გამოწვეული.—მასში არის გამოხატული თვ. მუშათა რაზმის ტკივილი და მწუხარება ბათუმის ბედის „დროებით გადაწყვეტის" გამო.

ამ კითხვაში ჩაქსოვილია ტკივილი და მწუხარება მთელი საქართველოსი, რომლისთვისაც ბათუმის ბედის გამოწვეული „დროებითი გადაწყვეტა" ლახვარის ჩაცემაა მის მისწრაფებათათვის, მის სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

საქართველოს დედა-ქალაქის პროლეტარიატი დღეს გამოდის ქუჩაში საერთო სახალხო დროშის ქვეშ; ის აცხადებს მთელი საქართველოს მწუხარების დემონსტრაციას და აღნიშნავს, რომ მთელი საქართველო მხოლოდ იბრძოლებს ბათუმის საკითხის სწორეთ და სამართლიანად გადაწყვეტამდე.

დიახ, პროლეტარიატის ხმას შეუერთდეს ტფილისის ყველა მცხოვრებთა ხმა!

დიახ, პროლეტარულ მასსის ინიციატივამ მხურვალე გამოხმაურება და თანაგრძნობა ჰპოვოს ყველა მათში, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის ბედით და დემოკრატიით და ვისაც ყურ შეურაცხყოფია ბათუმის საკითხის ასეთ „გადაწყვეტას".

დღევანდელი დღე უნდა გადაიქცეს ხალხის ნების ყრუდ გამომხატველ დღედ, სახალხო მოთხოვნილებათა ერთსულოვან დაცვის დღედ. დღეს ტფილისი გამოვლენილი უნდა იყოს ერთის აზრით და ერთის ნებისყოფით ისევე, როგორც არის მთელი საქართველო.

ყველა ქუჩისაკენ, ყველა დამფუძნებელ კრებასთან!..

ახალი ამბები

◆ დღეს საღამოს ზუსტ 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 21 მარტს.

◆ სამხედრო მინისტრის მგზავრობა ყაზბეგში. გუშინ, 18 მარტს, სამხედრო მინისტრი ბ-ნი გრ. ლორთქიფანიძე მეორე ქვეითი ბრიგადის უფროსის გენერალ იოსებ გედევანიშვილთან ერთად გაემგზავრა უბნებზე.

◆ ს. ს.-დ. მუშ. პარტიამ მოწოდებით მიმართა სოციალისტურ ინტერნაციონალს, რათა უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს საქართველოს დემოკრატიას ბათუმის საკითხში. მიმართვის ტექსტს ამ დღეებში დავბეჭდავთ.

◆ იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე ქუთაისიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილებით 19 მარტს სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურენი დღის 12 ს. შეწყვეტენ მუშაობას. ნაშუადღევის პირველ ს. ყველა თავს მოიყრის მუშათა სასახლის წინ აქედან მუშა-მოსამსახურენი და მოწაფეთა კავშირი სეკრეტარიატის ხელმძღვანელობით გაემართებიან დამფ. კრების დარბაზისაკენ, სადაც მისი დეპუტატები შეეკითხებიან მთავრობას ბათუმის მდგომარეობის შესახებ.

◆ სახელმწიფო უნივერსიტ. სტუდენტთა კავშირის გამგეობა მოუწოდებს სტუდენტებს, რომ პარასკევს, 19 მ-რტს, დილის 10 ს. თავი მოიყარონ უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში. კრების საგანია ბათუმის საკითხი.

◆ სახალხო უნივერსიტეტის. ავლაბრის განყოფილებაში (კახეთის ქ. №1) დღეს საღამოს 7 ს. მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი გრ. გიორგაძე. მოხსენების საგანი—„ბათუმის საკითხი".

◆ საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს ტფილისის გაზეთებში მოთავსებულ ცნობას, თითქოს ტფილისში ჩამოსულიყოს ბათუმის გენერალ გუბერნატორი ინგლისელი გენერალი კუკ კოლინსი და საგარეო საქმეთა მინისტრს წარსდგომოდეს. სამინისტროს აზრით ეს გაუგებრობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ტფილისში იყო კუკ კოლინსის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი დენი, რომელიც ისევ ბათუმში გაემგზავრა.

◆ თანახმად ნაძალადევის უბნის სახალხო გვარდიის შტაბის დადგენილებისა (16 მარტი, ოქმი № 15) იარაღი აყარეს და გვარდიიდან დასთხოვენ გვარდიელები: ბეჟანიძე გიორგი და ცუხიშვილი ვანო, პირველი ქურდობისათვის და მეორე იარაღის ბოროტად მოხმარებისათვის.

◆ ორთაჭალის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აცხადებს, რომ შაბათს 20 მარტს დილის 11 ს. შტაბის შენობაში სოფლის ქუჩაზე დანიშნულია ვარჯიშობა ტყვიისა და პულემეტების ნაწილებზე.

საქალაქო არჩევნების გარშემო

(წერილი ბათუმიდან).

საქალაქო არჩევნები დასრულდა, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა და არც ისე ჩქარა შეიძლება დასრულდეს ის ბრძოლა და ინტრიგები დემონსტრაციები, რომელიც არჩევნებმა ერთბაშად კიდევ გამოააშკარავეს.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ საქალაქო არჩევნებს ჰქონდა აგრეთვე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ქალაქის ახალი შემადგენლობის საბჭომ უნდა უთქვა თავისი სიტყვა ბათუმის ბედის შესახებ. ამას გრძნობდა ყველა და ცდილობდა კიდეც ესა თუ ის გავლენა მოეხდინა არჩევნებზე მასში მონაწილეობის მიღებით. მართალია, ბათუმში არსებული საოკუპ. წესების გამო შეუძლებელი იყო ფართო საარჩევნო აგიტაციის წარმოება, მაგრამ იყო შესაძლებლობა ფარულად ენერგიული მუშაობა და თითოეულმა ამრიგ ველმა გარკვეულის მიზნით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

ქალაქის უფერული ცხოვრება არჩევნების დღეს არაჩვეულებრივად გამოცოცხლდა. ამომრჩევლები დილიდანვე ეხვეოდნენ არჩევნებისადმი. საარჩევნო ბრძოლა საქართველოს ორიენტაციაზე მდგომთა მიერ ნაცნობად გამარჯვებით დამთავრდა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, 31 ხმოსნიდან 20 ხმოსანი გავიდა ქართველ ამომრჩევლთა № 1 სიით.

ახლა ჩვენი გამარჯვება ჩვენი რუსოფილიის ორგანოებს მეტად არასასიამოვნოდ დახვდათ. მათში შეკრებილი არიან რუსის შოვინისტები ადვოკატები რუსის ეროვნულ საბჭოში შეკრებილნი. მათ ბ.ბ. ზაბინიევისა და ანისიმოვის (ქალ. გამგ. წევრია) ხელ-მოწერილი განცხადება მიართვეს ქალ. გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ნორმანს, რომელშიაც უარს აცხადებენ თავიანთი წარმომადგენელი იყოლიონ მომავალ საბჭოში.

რუსოფილური „ნაშ კრაი" ძლიერ კამპანიას ეწევა მომხდარ არჩევნების წინააღმდეგ. მან ყველა მოიწვია თავისიანთ ახალი სამარცხვინო დამარცხება. საწყალობელი საქმე! მარტ.ნ ნოემბერში დასახელებულ დანიშნულ საბჭოში ისინი 19 ჰყავდნენ, ახლანდელ საბჭოში კი მხოლოდ 2 ექნებათ. დიახ, ისინიც ცდილობენ ყველას დაარწმუნონ, რომ მომავალი საბჭო უმოქმედო იქნებაო.

„საქალაქო არჩევნებმა არასასიამოვნო შედეგი მოგვცა",—სწერს „ნაშ კრაი": „საარჩევნო ყუთთან შეცდომილები იმ ბედით მიდიოდნენ, რომ ეგონათ არჩევდნენ საქმიან ხმოსნებს, პოლიტიკის დაშორებულთ, მაგრამ ქალაქის მეურნეობაში გამოცდილთ. მაგრამ არჩევნების ფაქტორების შემდეგ ცდილობენ მოსაზრებენი დაარწმუნონ, რომ არჩევნები პოლიტიკური პლატფორმის ნიადაგზე, ნაციონალურ ნიადაგზე".

ამ ამონაწერის ავტორებმა კარგათ იცოდნენ, რომ არჩევნებს სწორედ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ეხლა დღეს ასე აჩვენებენ, მხოლოდ საკუთარ დამარცხების მიზეზების სურვილით. ამასთან, მათ უშინათ მოსდევათ საბჭოს სიტყვისა, რომელიც მათი იმედების პირიქით საწინააღმდეგო დარჩება. ამიტომაც აქეთკენ გადახრიან არჩევნებს ხმოსნებს ქალაქის ცხოვრების მოსაწესრიგებლად და არაპოლიტიკურ მოღვაწეთ. იწყებენ აგრეთვე საარჩევნო კანონს ჩვენს პრესაში თავის დროზე უკვე იყო აღნიშნული, თუ როგორი დამახინჯებული იყო ეს კანონი და დემოკრატიის მოკლებული. „ნაშ კრაი" მაშინ სდუმდა ამაზე, მატონების გაბრაზების შიშით. დღეს კი კანონს თავისებურად ხედავს გამოუტყდება: არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკლებულნი იყვნენ სპეკულიანტებიო.

„რაც არჩევნებში და არც ამომრჩევლებში არ იყვნენ წარმომადგენლები ბევრი სავაჭრო საწარმოო დაწესებულებათა უკანასკნელ დროს ბათუმში დაარსდა ბევრი სავაჭრო საწარმოო ხასიათის დაწესებულება. მათი არსებობა დიდი ხნის არის განზრახული. მათი ინტერესები მჭიდროთ არის ქალაქის ინტერესებთან დაკავშირებული."

ვინ არ იცის, რომ უმეტესობა ასეთი დაწესებულებებისა თავშეყრილი სპეკულიანტების ბუდეთ არის ქცეული. ბათუმის მცხოვრებნი წლობით იხრჩობიან მათი საშუალებით. სხვებმა კი ამ სპეკულიანტთა ინტერესებს დაიცავენ გამოუცდელნი. ის ვერ ბედავს პირდაპირ გამოთქვას თავისი გულისწყრომა ამ არჩევნების გამო და სამართლიანობის ქურქში გახვეული ცდილობს თავის მოქალაქეთა ინტერესების დამცველად მოგვევლინოს.

ის ერთ ადგილას ფარულ ვიღაცას და აშკარათ გამოთქვამს თავის მწუხარებას—„ვგრძნობ უმცირესობაში არჩევნებში რუსი მცხოვრებლები დარჩნენო".

გადაჭარბებულია წარსულს. მართლაც პირველია, რომ ასეთს უმცირესობაში დარჩა რუსობა?

საქალაქო დებულებები ბათუმში მოქმედობს 1 ოქტომბრიდან 1888 წლისა მაშინ იქნა შემოღებული ქალაქის თვითმართველობა და იმ დღიდან დაწყებული დღემდე ხმოსანთა უმრავლესობას ყოველთვის ქართველები შეადგენდნენ. საბჭო ირჩეოდა ოთხის წლის ვადით.

პირველ ოთხს წლიწადს 1888—1894 წ. (აქ საბჭოს რწმუნება ექვს წლიწადს გაგრძელდა) ხმოსანთა საერთო რიცხვი იყო 36 აქედან რუსი—8, ქართველი—11, სომეხი—10, ბერძენი 2, ებრაელი—2, პოლონელი—2, გერმანელი—1.

მეორე ოთხს წლიწადს—1894—1898 წ. წ. საერთო რიცხვი—35; რუს.—8, ქართ.—19; სომეხი—0; ბერძენი—5; პოლონ.—3.

მესამე ოთხს წლიწადს—1898—1902 წ. წ. საერთო რიცხვი—41; რუსი—8; ქართვ.—20; სომეხი—6; ბერძენი—6; პოლ.—1.

მეოთხე ოთხს წლიწადს—1902—1907 წ. წ. საერთო რიცხვი—34; რუსი—7; ქართვ.—17; სომეხი—6; ბერძ.—2; პოლ.—2.

მეხუთე ოთხს წლ. 1907—1911 წ. წ. საერთო რიცხვი—44; რუსი—6; ქართველი—23; სომეხ.—7; ბერძ.—6; პოლონ.—1; გერმ.—1.

მეექვსე ოთხს წლიწადს 1911—1915 წ. წ. საერთო რიცხვი—50; რუსი—7; ქართვ.—23; სომეხი—9; ბერძენ.—5; პოლ.—4; გერმან—2.

მოყვანილი ციფრები აშკარათ ამტკიცებენ, რომ ქართველ ხმოსანთა რიცხვი ყოველთვის დიდი უმეტესობა ყოფილა სხვა ერთა ხმოსნებთან შედარებით.

29 თებერვლის არჩევნებშიაც ასეთი მოხდა: 36 ხმოსნიდან ქართველი 20 არის, ბერძენი—8; სომეხი—4; რუსი—2, ებრაელი 1 და უკრაინელი—1.

ქალაქის მოურავებიც ყველა ქართველები იყვნენ, გარდა პირველისა, რომელიც მთავრობისაგან იყო დანიშნული.

ამ მხრივ უკანასკნელ არჩევნებსაც ახალი არაფერი უთქვამს. მხოლოდ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბათუმი იყო და არის ქართული ქალაქი. ის პოლიტიკურადაც უნდა დარჩეს ქართული ქალაქი. ჩვენ მეზობლებმა მისი ერთსულოვან გზით გამოთქმულ სურვილს ამ მხრივ ანგარიში უნდა გაუწიონ. დღევანდელი არანორმალური მდგომარეობა დროზე უნდა გასწორდეს!

განი.

მთავრობაში

9 მარტის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— სამხედრო მინისტრის მოხსენებით სამხედრო სკოლის საწვავ-მასალით ჯარის მომარაგებისათვის, [illegible] ების და სხვა სახელმწ. [illegible] ხარჯიდან 195500 მანეთის გადადება შეიძლება, ხარჯი მიღებულ იქნეს და გატარდეს კანონმდებლობითი წესით.

— ფიზიკურ ობსერვატორიის, საქართველოს მუზეუმის და ფოთის საზღვაო სკოლის საჭიროებათ ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქნეს სახელმწიფო კონტროლის მიერ შეტანილ შესწორებებით და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

11 მარტის სხდომაზე დადგენილ იქნა:

— უცხო სახელმწიფოთა ყველა ქვეშევრდომებმა, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1918 წლის 26 მაისიდან და ამ დღიდან მათი საერთო ძირითადი კაპიტალით არ გამოუყვიათ განსაკუთრებული კაპიტალი საქართველოში ოპერაციების საწარმოებლად, დაბეგვრილ იქნენ პირდაპირი გადასახადებით საზოგადო წესით, როგორც კერძო პირთა სავაჭრო საწარმოო დაწესებულებანი.

13 მარტის სხდომაზე დადგენილ იქნა:

— აუცილებელ საჭიროებათ იქნას ცნობილი აჭარის დამშეულ მოსახლეობისათვის სურსათით დახმარების აღმოჩენა, რომლის განხორციელება დაევალოს მომარაგების მინისტრს. სურსათი, აღნიშნულ მოსახლეობისთვის გადაცემული უნდა იქნეს შესაფერ ფასებში.

— აზერბაიჯანისა და საქართველოს შორის დადებულ სატრანსპორტო ხელშეკრულების პროექტი საბოლოოდ დამტკიცებულ იქნას.

უცხოეთი

იტალია.

ახალი კაბინეტი. 16 მარტს შესდგა ახალი კაბინეტი ნიტტის თავმჯდომარეობით; ნიტტის აქვს ჩაბარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს პორტფელი. კაბინეტში შედიან: ლუცცატი—სახაზინო მინისტრი და მინისტრ პრეზიდენტის მოადგილე; შიალოია — საგარეო საქმეთა მინისტრი; სეკკი — საზღვაო მინისტრი; შანცერი — ფინანსთა; მორტარა — იუსტიციის; ბონომი — სამხედრო; ფალჩიონი — მიწათ-მოქმედების; დანტე ფერრარის — ვაჭრობა მრეწველობის; დე-ნავა—სახალხო სამუშაოთა მინისტრი; ტორრე—სახალხო განათლების; ალესიო—ფოსტა-ტელეგრაფის და რაინერი—განთავისუფლებულ ოლქების მინისტრი. ახალი კაბინეტი პარლამენტის დიდ სიმპატიით სარგებლობს.

შვეცია.

ბრანტინგი ხალხთა ლიგის შესახებ. შვედეთის ხალხთა ლიგაში შესვლის გამო შვედეთის სოციალისტების ლიდერი ბრანტინგი სწერს: ხალხთა ლიგას მრავალი ნაკლი აქვს, მაგრამ შვედეთი მაინც უნდა შევიდეს ლიგაში, რათა ხელი შეუწყოს ლიგის მიერ დასახულ საერთაშორისო მიზნების განხორციელებას. ის გარემოება, რომ ხალხთა ლიგის იდეალი და სინამდვილეს შორის დიდი მანძილია, კიდევ უფრო მოითხოვს შესვლას ლიგაში. თუ ჩვენ ლიგაში არ შევალთ, ამით დაზიანდება ეროვნულ ხალხთა უფლების შექმნის საქმე.

ჰოლანდია.

ტროელსტრას სიტყვა. ჰოლანდიელ სოციალისტების ლიდერმა ტროელსტრამ თავის სიტყვაში საერთაშორისო მდგომარეობისა და ინტერნაციონალის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: ჩვენ ამაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, თუ ვინ გამოიწვია ომი, არამედ იმაზე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ზავის შეკვრის გამო არსებული საწინააღმდეგოება არ ჰქონდა, თუ ჰოლანდია ვილჰელმს შეიფარებს. ჰოლანდიამ ვილჰელმისთვის არ უნდა შექმნას დაბრკოლებები. „მაგრამ თუ კი ვილჰელმ მეორე ციხეში იქნება ჩასმული, ციხეში უნდა გაიგზავნონ ლოიდ ჯორჯი და კლემანსოც; ვილსონს კი მაშინ ციხის მოძღვრის თანამდებობა უნდა ეძლიოს, რომ თავის კოლეგების ცხოვრება დალოცვებით დატკბოს". თავის სიტყვის მეორე ნაწილში ტროელსტრა შეეხო ინტერნაციონალს და განაცხადა: ბერნისა და ლუცერნის ინტერნაციონალების შესახებ საკითხი არის სწორეთ ისეთი, როგორც საბჭოთა ფორმით პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალ დემოკრატიის შესახებ. ეს ორივე ცნება ერთმანეთს უპირისპირდება.

ინგლისი.

ასკვიტის არჩევა. პაისლის ოლქში დამატებითი არჩევნების დროს გაიმარჯვა ასკვიტმა; მან 2,834 ხმით მეტი მიიღო, ვიდრე მუშათა პარტიის კანდიდატმა. ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ასკვიტი (დამოუკიდებელი ლიბერალი) მიიღო 14,935 ხმა, მუშათა პარტიის კანდიდატმა ბიგარმა—11,840; მთავრობის კოალიციის კანდიდატმა მხოლოდ 3,778 ხმა შეაგროვა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 11 მარტს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კონფერენციის სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) რევოლუციის 3 წლის თავი, 3) პარტიის წევრის კარტოჩკის მოქმედება, 4) უმუშევართა საკითხი, 5) ნოქარ ჯუხტიაშვილის დათხოვნა.

მოხსენება თფილისის კომიტეტიდან მოისმენილ იქნა. რევოლუციის 3 წლის თავის აღსანიშნავად რაიონშიც კომიტეტმა გადაწყვიტა მხურვალედ მონაწილეობა მიიღოს, რისთვისაც აირჩა კომისია, რომელიც გამართავს რაიონში არსებულ პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების გარეშე შემოკრებას.

ცნობილად გამოთქმულ იქნა, რომ პარტიის წევრი კარტოჩკით თავისი სიმძიმით ნიშნებს სცემს პარტიას, ამიტომ კოლექტივმა დაადგინა კარტოჩკები გამოცვლილ იქნეს პარტიიდან და დაუყოვნებლივ ჩამოერთვას პარტიული წიგნაკი.

უმუშევართა საკითხის შესახებ მოისმენილ იქნა მოხსენება ამხ. ბ-ძისა და დადგენილ იქნა: ეს საკითხი გადაცემულ იქნეს მუშათა ქალაქის ბიროს კომისიაში.

ჯუხტიაშვილის შესახებ, რომელიც დათხოვნილი არის მაზუთისაგან, კოლექტივმა: ვინაიდან ნოქრები შეუერთებელნი არიან, და ეს მოვალეობა მეტ გაბედულობას აძლევს ხაზეინებს ნოქრების დათხოვნაში თავის სურვილისამებრ, ამასთანავე კოლ. მიიღოს ახლო მომავალში შესაფერისი ზომები, ჯუხტიაშვილის საქმის გამო კავშირს ამხ. დ. ჩხეიძეშვილს მიენდოს.

ვერხვი.

თფილისი. 12 მარტს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის მე-6 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა გ. ინწკირველი. დღიურ წესრიგში იყო: 1) წარსული კრების ოქმის დამტკიცება, 2) მოხსენებები, 3) ბანკის და თეატრალის ანგარიშების განხილვა და 4) მიმდინარე კითხვები.

კრება ამტკიცებს წარსული კრების ოქმს და გადადის შემდეგ კითხვებზე.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ირემაშვილი. მოხსენებიდან გამოყოფილ იქნა ორი კითხვა: 1) დამატებითი არჩევნები დამფუძნებელი კრებისა და 12 მარტის დღესასწაული. პირველ კითხვაზე, ვინაიდან არჩევნები ხდება ჩვენი რაიონის მე-4 უბანში, კრებამ საჭიროდ დაინახა აერჩია 7 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც დღიდან არჩევისა, უნდა შეუდგეს სათანადო მუშაობა-სამზადისს აღნიშნულ არჩევნებისათვის. კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) ი. გოგოლაძე, 2) გ. ინწკირველი, 3) შ. ნავაძე, 4) დ. ბაბიშვილი, 5) მენთეშაშვილი, 6) შ. ტვერდიძე და 7) ხელაძე. 12 მარტის შესახებ კრება ადგენს მიიღოს დღესასწაულში აქტიური მონაწილეობა. სადღესასწაულო მოძრაობისათვის მოწყობილ იქნას რაიონის კლუბების სამხედრო მუშაობა.

საორგანიზაციო კომისიის სახელით ამხ. ლ. რაზმაძე კრებას მოახსენებს, რომ მათ მოისმინეს ქვე-კოლექტივის არჩევნები მეოთხე სამილიციო უბანში. არჩეული არიან 7 ამხანაგი: ხელაძე, მენთეშაშვილი, ქელიძე, იანაძე, ბუჯიაძე, ჯიქია და ქორელაშვილი.

მე 5 სამილიციო უბანში მიიღის ნაწილობრივი ცალ-ცალკე დარგებიდან არჩევნები. ჯერ-ჯერობით ხმების მიხედვით, ტრამვაის მუშებისა და მემანქანეებისა, არჩეული არიან: მანჯგალაძე, მამულაშვილი, ჯორჯიაშვილი, ცანავაძე, შპეტაშვილი, ლორთქიფანიძე და დუმბაძე.

კრება ამტკიცებს არჩევნებს და გადადის შემდეგ კითხვაზე.

მე 4 სამილიციო უბნის ქვე-კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. მენთეშაშვილი. იგი აცნობს კრებას, რომ მათ ჰქონდათ ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა. კოლექტივში წარმომადგენლად აირჩიეს მენთეშაშვილი, დაადგინეს მიიღონ ზომები პარტიისა და მუშათა კლუბის წევრთა გაზრდისათვის. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მცირე კოლექტივს ეხმარება საკუთარი ბინა.

კოლექტივი ქვე-კოლექტივებით დაინტერესებულია მოხსენებას, უსურვებს ახალ შემადგენლობას ნაყოფიერ მუშაობას და აღუთქვამს, რომ ამ დარგში მათ დახმარებით კლუბის დაბალ სართულში საკუთარი ოთახი.

ბანკისა და თეატრალის ანგარიშების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ინწკირველი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ პირველი მარტიდან თავის კასაში რჩებოდა 7045 მ. და 80 კ. მოხსენება მიღებულ იქნა და დაევალა სათანადო კომისიას, ყოველი წარსული თვის ანგარიში შე[illegible] კოლექტივს მეორე თვეში.

ქალთა ორგანიზაციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ჯორჯაშვილი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მათ გამართეს „მშრომელების დღე" [illegible] ფულის შეგროვების სახით. განსაზღვრულ კვირას 21 მარტს მე 4 საათზე. უბნის მუშათა კლუბში გამართონ დიდი საღამო მე 6 რაიონის მუშათა კლუბების სასარგებლოდ. კრება ღებულობს მოხსენებას და ავალებს ყოველ ნაწილს აღნიშნულ საღამოს მოწყობაში. კულტურულ-განმანათლებელი კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ინწკირველი. იგი აღნიშნავს, რომ მიმდინარე კომისიამ დაიწყო მუშაობა ორივე კლუბიდან [illegible] გაზეთების სახით და შემდეგ [illegible], უნდა გაიხსნას სამკითხველო ორთავე კლუბში. ამავე კლუბში უნდა დაარსდეს წრე-კლუბის ხასიათის [illegible] მოსწავლეთათვის, რისთვისაც მიღებულია ზომები [illegible]. ორივე კლუბებთან უნდა მოეწყოს [illegible] წიგნების კითხვა [illegible] ერთგული კავშირი [illegible].

კრებამ [illegible] და [illegible] კრებას [illegible].

კრების მდივანი დ. ბუაჩიძე.

პოლტ. მუშაობა ჯარში და გვარდიაში

12 მარტს, [illegible] გაიმართა [illegible] წარმოდგენა, რომელშიც [illegible] წარმოდგენილ იქნა „[illegible]", „[illegible]" და „[illegible]". წარმოდგენების შემოსავალი, რომელიც 5,000 მანეთამდე იქნება, გადაეცემა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა კომიტეტს. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე. დიდი მადლობის ღირსია გუნდის უფროსი კაპიტანი შ. გადაგვანიშვილი და ჯარისკაცი ბიძინა [illegible], რომლებიც ინიციატივით გაიმართა საღამო. ა. იაშვილი.

მუშათა შორის

მუშის წერილი.

მე [illegible] სადგ. ალექსანდროპოლში [illegible] 1917 წელში. [illegible]

ამ [illegible].

[illegible] 25 მ. ამ [illegible] 17-დან 19 წლამდე, [illegible]

[illegible]

[illegible] მუშები [illegible] ადგეს სამშობლოს არ შეუძლია [illegible] დამოუკიდებლობის [illegible]. ამ შემთხვევაში, ვისაც ძალუძს [illegible] ამხანაგებო, [illegible] სამშობლოც ავყვავდება.

[illegible] მუშა ალექ. ხა. მარუაშვილი.

პროვინცია

ყაზბეგი. [illegible] ინიციატივით [illegible]. კრებას დაესწრო 15 წევრი. [illegible] კომისარი შ. [illegible]. [illegible] 14 მარტისათვის [illegible] 15 [illegible] 9 მარტს [illegible]

[illegible] 1) [illegible] პრეზიდიუმის არჩევნები, 2) გამგეობის წევრების არჩევა [illegible], 3) [illegible], 4) [illegible], 5) თემის [illegible], 6) ბინა თემის [illegible], 7) სხვადასხვა კომისიების არჩევნები, 8) [illegible], 9) განხილვა [illegible], 10) [illegible], 11) [illegible].

დ. ლოდიშაური.

— —

ს. ვეჯინი. (სიღნაღის მაზრა). 29 თებერვალს შესდგა ვეჯინის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის და მომხმარებელი საზოგადოების „რუსთაველის" წევრთა კრება 1919 წლის ანგარიშების განსახილველად და 1920 წლის ხარჯთაღრიცხვის დასამტკიცებლად.

კრებას დაესწრო 48 წევრი და კანონიერად იქნა აღიარებული. ამ დაწესებულების გამგეობის თავმჯდომარემ [illegible] მოახსენა კრებას 1919 წ. [illegible] მოქმედების.

კოოპერატივ „რუსთაველი"-ს წმინდა მოგება 1919 წ. 31303 მ. 93 კ. განაწილდა ასე: [illegible] თანხის შევსება 6260 მ. 60 კ., ძირითადს 6260 მ. 60 კ., [illegible] წევრებს 2950 მან., [illegible] 3000 მ., [illegible] 1732 მ., [illegible] 2000 მ., [illegible] 4000 მ., საკუთარი შენობის ასაგებად 2000 მ., [illegible] 3000 მ. სულ 31303 მ. 93 კაპეიკი.

ამხანაგობის 1919 წ. წმინდა მოგება 57,271 მ., 65 კ. განაწილდა ასე: სათადარიგოს 1145 მ. 20 კაპ., ძირითადს 11454 მ. 20 კ., ვეჯინის სკოლას 5000 მ., სამკითხველოს 2000 მ., [illegible] 3000 მ., [illegible] 5000 მ., [illegible] 3000 მ., [illegible] 9363 მ., 28 კ., [illegible] 7000 მ., სულ 57,271 მ. 68 კ.

კრებამ ერთხმად [illegible]

[illegible]

მახარე.

[illegible] (ქართლი). [illegible]

[illegible] —5000 მანეთი, [illegible] —3517 მანეთი [illegible] —11.000 მან. [illegible] —2,500 მანეთამდე; [illegible] —20.000 მანეთი. [illegible] სულ 41.017 მანეთი. [illegible]

ხარკელი.

[illegible] (გურია). 29 თებერვალს [illegible] 1919 წლის [illegible] 4537 მან. და 98 კაპ.; [illegible] 2458 მან. 1920 წლის [illegible] 2079 მანეთი. [illegible]

[illegible] 5 [illegible] 25 მან. [illegible]

წერ. რედაქციის მიმართ

[illegible]

[illegible] 200 მან., [illegible] 75 მან., [illegible] 75 მან., [illegible] 50 მან., [illegible] 50 მან., [illegible] 50 მან. [illegible] 25 მან.

[illegible] ან. ირემაძე.

სიკეთე მერჩივით!

პატივით 3-5 დღ. ი. [illegible]

(დასასრული)

[illegible]

[illegible] 10,000 მან. [illegible]

[illegible] (подъотчетныя суммы) [illegible] 4000 მანეთამდე; [illegible] 1.000 მან. [illegible] 22/V-დან, [illegible] 1.000 მან. კი 15/IX დან; [illegible] 8000 მან. 7/X დან [illegible] 6/II-ს [illegible] 18/X 1.000 მან. [illegible] 3/IX-ს [illegible] 400 000 მან. 5/IX [illegible] 200 000 მან., [illegible] 13/X ს. [illegible] 40 დღის, [illegible]

[illegible]

[illegible] 1.492.000 მანეთი [illegible] 1 იანვრის [illegible]

[illegible]

განცხადებანი

იყიდება ნამუენი ხალიჩები

დუშეთის ქუჩა № 31. (995 2—1)

კვირას 21 მარტს

მაჭრობით გაიყიდება

სახლის ავეჯეულობა და ზინგერის მანქანა

[illegible] № 3. (885 1—1)

[illegible]

იყიდება ნერგები და მაყალი

[illegible]

(98, 3—4)

[illegible]

ექიმი

ნიკოლოზ [illegible]

განაახლა შინაგან სნეულებათა ავადმყოფთა მიღება ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1018—6—2)

ექიმი ქალი

მ. მ. ალფეევი

წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად სამეანო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, სამეანო და ქალების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. [illegible] ქუჩა, № 7, [illegible] ახლოს. ტელ. 14—18. 119—თ.)

ექიმი

დოქ. [illegible]

(რენტგენოლოგი)

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. [illegible] ქუჩა № 52. (თ. 521)

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, შარდის და ნერვიული სისტემის. რენტგენი და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. [illegible] ქ. № 5 ბინა 3. (471)

კერძო სამკურნალო

ექ. ე. მ. მძინარიშვილისა

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და [illegible] ქუჩის № 22 ტელ. 10—87 მიღება ყოველგვარი სნეულებით ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიული, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. [illegible] დილის 8—11 საათ.

ექიმები იღებენ

ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. მ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ბიოლ. ანალიზი.
ა. გ. მამაცარიანი—ქირურგ. ავადმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
გ. ლ. შალამბერიძე—ქალის ავადმყ. და [illegible]

სამკურნალოში სწარმოებს: კონსილიუმი, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, [illegible], „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე ბაქტერ-ქიმიური გამოკვლევანი (შარდის, კუჭის წვენის, სისხლის. ნახველის, [illegible] და სხვ. (თ. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, [illegible] „ნოე"-ს მოპირდაპირე. ტელ. 14—26. (154—თ.)

ექიმი

პ. გ. მარტინოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 2, ვაგზლის ქუჩის კუთხე, [illegible] (თ. 546)

[illegible] ბერლინის და მიუნხენის [illegible] კლინიკებისა

[illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და [illegible]. იღებს რენტგენის ელექტრო-[illegible] კაბინეტში. [illegible] X-ის სხივებით. [illegible] 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 22, ტელეფ. 7—92. [illegible] (თ. 686)

[illegible] „606" და „914" [illegible] ქუჩა № 32.